სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, მისი შემუშავების საფუძველია კალენდარული წლის მანძილზე, თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილ ანგარიშები. დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაციები სამოქმედო გეგმის შესრულებასთან მიმართებაში, მიზნის და ამოცანების შესაბამისად. წარმოდგენილია შესრულების შეფასებაც. დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი მტკიცებულებებით ასახულია თანამშრომელთა ანგარიშებში.

მიზანი 1. პროფესიული პროგრამების მუდმივი განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის მსურველთა არეალის დაფარვისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდა

ამოცანა 1.1 - კოლეჯის პროფილის შესაბამისად, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით ,,მეფუტკრეობის“, ,,შედუღებისა“ და ,,მოდის დიზაინის“ პროგრამების შემუშავება, დამატება და დანერგვის დაწყება.

აღნიშნული პროგრამების დამატების საკითხი გადატანილი იქნება 2025 წლის სამოქმედო გეგმაში. მათ შორის, შედუღების პროგრამის - ბათუმის მისამართზე. იგეგმება ახალ მისამართზე გადასვლა და შესაბამისად, შედუღების პროგრამა დამატებული იქნება ბათუმში, ახალ მისამართზე.

ინდიკატორი- არ შესრულდა

1.2. . ამოცანა - შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული მომზადების პროგრამების დამატება/განახლება დადასტურების გზით (ბათუმის მისამართზე) და დანერგვა

სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავება. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯს პროგრამა არ დაუმატებია მომზადების პროგრამაც არ შემუშავებულა.

შემუშავების პროცესშია გარემოს დაცვის მიმართულებით პროგრამების შემუშავება. პროგრამები უნდა დაინერგოს საერთაშორისო გრანტის ფარგლებში. სახეზეა სამი პროგრამის პროექტი. დაკვეთიდან გამომდინარე და დონორთან შეთანხმებით პროგრამების დამატება გადატანილია 2025 წლისთვის.

ინდიკატორი- ნაწილობრივ შესრულდა

ამოცანა 1.3. - მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, პოზიციონირების გაძლიერება

2024 წელს კოლეჯმა შუახევის მისამართზე გააძლიერა პოზიციონირება. კოლეჯმა მოიპოვა ორი პროგრამის განხორციელების უფლება. პროფესიული მომზადების პროგრამა ,,განათების სისტემის ელექტრომემონტაჟე“ შემუშავდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაკვეთით და დასაქმდა ყველა კურსდამთავრებული. საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაციასთან (GREDA) თანამშრომლობის ფარგლებში (USAID-ის პროგრამა ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ჰესის ოპერატორის“ მომზადებაში., შუახევის ჰესთან თანამშრომლობით მოიპოვა პროგრამის განხორციელების უფლება და პროგრამა დაინერგება 2025 წელს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს კოლეჯმა დანერგა ოთხი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა. პირველად განხორციელდა პროგრამები: .განათების სისტემის ელექტრომემონტაჟე; ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება; ხელით ელექტრო - რკალური შედუღება და მთიანი აჭარის სალაშქრო ბილიკების გამყოლი. გამყოლის პროგრამა შემუშავდა ,,გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) მხარდაჭერით და 3 ორგანიზაციასთან პარტნიორობით. კერძოდ, პროგრამის პარტნიორებია: ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და ა(ა) ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო.

ინდიკატორი- შესრულდა

სამოქმედო გეგმის მიღმა დამატებით წარმოდგენილია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია.

ინფორმაცია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების თაობაზე

2024 წელს კოლეჯი ბათუმის, ქედის და შუახევის მისამართზე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დაფინანსების მიზნებისთვის ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსაგან დაფინანსდა 14- ჯერ 11 პროგრამის ფარგლებში. მათ შორის: ბათუმი - 5 პროგრამა, ქედა- 2 პროგრამა, შუახევი - 4 პროგრამა.

ბათუმი

1. .ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება (პროფესიული მომზადება)
2. კერძების მომზადების ტექნოლოგია (პროფესიული მომზადება) - 2 -ჯერ

3. ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა-დეკორატიული გაფორმება (პროფესიული მომზადება) - 2-ჯერ

4. სერვისის და სერვირება (პროფესიული მომზადება)

5. ელექტრული მონტაჟი შენობებსა და მცირე საწარმოებში (პროფესიული მომზადება)

ქედა

1. ვენახის გაშენება და მოვლა (პროფესიული მომზადება)
2. ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება (პროფესიული მომზადება)

შუახევი :

1. განათების სისტემის ელექტრომემონტაჟე (პროფესიული მომზადება)
2. ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება (პროფესიული მომზადება)
3. ხელით ელექტრო - რკალური შედუღება (პროფესიული მომზადება)
4. მთიანი აჭარის სალაშქრო ბილიკების გამყოლი (პროფესიული გადამზადება)

აღნიშნული პროგრამებზე ჩაირიცხა 180 მსმენელი. 2024 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით პროგრამები დაასრულა დაასრულა 93 პირმა, სწავლას განაგრძობს 69 მსმენელი.

ბათუმში - 117 მსმენელი - 48 კურსდამთავრებული და 59 აქტიური მსმენელი;
შუახევი - 41 მსმენელი; 38 კურსდამთავრებული;
ქედაში - 23 მსმენელი; 8 კურსდამთავრებული - 10 აქტიური მსმენელი.

1. ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება-**15** მსმენელი - 9 კურსდამთავრებული ;

2. კერძების მომზადების ტექნოლოგია - 17 მსმენელი - 14 კურსდამთავრებული

3. ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა-დეკორატიული გაფორმება -14 მსმენელი - 13 კურსდამთავრებული ;

4. სერვისის და სერვირება - 12 მსმენელი -12 კურსდამთავრებული;

5. ელექტრული მონტაჟი შენობებსა და მცირე საწარმოებში ორი ჯგუფი 30 აქტიური მსმენელი;

6. კერძების მომზადების ტექნოლოგია - 15 აქტიური მსმენელი ;

7. ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა -დეკორატიული გაფორმება -14 აქტიური მსმენელი;

ქედა

1. ვენახის გაშენება და მოვლა 12 მსმენელი - 8 კურსდამთავრებული;
2. ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება 12 მსმენელი - 10 აქტიური მსმენელი;

შუახევი

1. განათების სისტემის ელექტრომემონტაჟე 10 მსმენელი - 10 კურსდამთავრებული;
2. ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება - 12 მსმენელი - 10 კურსდამთავრებული;
3. ხელით ელექტრო - რკალური შედუღება 11 მსმენელი -11 კურსდამთავრებული;
4. მთიანი აჭარის სალაშქრო ბილიკების გამყოლი- 7 მსმენელი - 7 კურსდამთავრებული.

თუკი შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, 2024 წლის პროგრესად უნდა ჩაითვალოს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა მაღალი მაჩვენებელი (განთესვა 10%). ასევე, დასაქმების/თვითდასაქმების მაჩვენებელი ყველა პროგრამის ფარგლებში არის 70%- ზე მაღალი.

1.4. ამოცანა - პროგრამების განვითარება

პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა კოლეჯისათვის მთავარი პრიორიტეტია. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროგრამის განვითარების მიზნით, 2024 წელს ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, მომზადდა პროგრამის განახლებული პაკეტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამის ფარგლებში პარტნიორობით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებათა გაფორმების, ასევე, არსებული ხელშეკრულებების გადახედვის პროცესი (მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე).

2024 წელს კოლეჯმა კიდევ ერთხელ გაანალიზა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განხორციელების საჭიროებას (პროგრამა 3 წელია არ განხორციელებულა). მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ პროგრამამ უნდა იფუნქციონიროს ახალი სტანდარტის დამტკიცებამდე. შესაბამისად, გადამტკიცდა, გაუმჯობესდა პროგრამა, პროგრამაზე საშემოდგომო მიღების ფარგლებში ჩაირიცხა პროფესიული სტუდენტები და მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. კოლეჯი გეგმავს ახალ შენობაში დაიმატოს პროგრამა განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში.

1.4. ამოცანის ფარგლებში გაანალიზდა ქედის მისამართზე მიმდინარე ორო აგრარული მიმართულების პროფესიული მომზადების პროგრამა: ,,ვენახის გაშენება და მოვლა“ და ,,ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ . პროგრამის განმახორციელებლებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საჭიროა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ვენახის გაშენება და მოვლა“ საათების რაოდენობის შემცირება, ხოლო პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ საჭიროა სწავლის შედეგების თანმიმდევრობის გადახედვა.

2025 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნება ორთავე პროგრამის განახლება.

ინდიკატორი- შესრულდა

1.5. ამოცანა - ყველა მიდგომის პროგრამაზე საკვალიფიკაციო გამოცდების დანერგვა

კოლეჯში 2024 წელს დაინერგა ყველა ტიპის პროგრამაზე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პრაქტიკა. კერძოდ, შემუშავდა რეგულაცია და 2023 წლის მიღების ფარგლებში ყველა პროგრამაზე ტარდება როგორც შუალედური ასევე საკვალიფიკაციო გამოცდები. შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები პარტნიორი კოლეჯების პროფესიული განათლების მასწავლებლები და ასევე პარტნიორ ორგანიზაციათა დარგის სპეციალისტები. კოლეჯს გააჩნია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების შეფასების ინსტრუმენტების ბაზა, რომელიც პარალელურად ვითარდება

ინდიკატორი- შესრულდა

შენიშვნის სახით სტატისტიკური ინფორმაცია

2025 წლის პირველი იანვრის მონაცემებით კოლეჯში ,,ბლექსი“ ირიცხება - 386 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. მათ შორის: 336 პროფესიული სტუდენტი - ბათუმის მისამართზე, 20 პროფესიული სტუდენტი - ქედის მისამართზე და 30 პროფესიული სტუდენტი შუახევის მისამართზე.

2024 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაასრულა 219 პირმა

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე პროგრამებზე 2024 წელს ჩაირიცხა 180 მსმენელი. 2025 წლის პირველი იანვრის მონაცემებით პროგრამები დაასრულა დაასრულა 93 პირმა, სწავლას განაგრძობს 69 მსმენელი.

მიზანი 2. კოლეჯის ცნობადობის გაზრდა კომუნიკაციის დივერსიფიცირებული გზებით

ამოცანა 2.1. - პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

კოლეჯის ცნობადობის გაზრდისა და ზოგადად პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით 2024 წელს განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შუახევის მისამართზე კულინარიის ლაბორატორიის გახსნა

შუახევის მისამართზე გაიხსნა კულინარიის ლაბორატორია. 2024 წლის 16 ივლისს კოლეჯის შუახევის მისამართს სტუმრობდნენ: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე და პროფესიული უნარების სააგენტოს ხელმძღვანელი,.

- აქტივობა 2.1.2. - საუკეთესო რეგიონული თანამშრომლობის ღონისძიების მასპინძლობა

კოლეჯმა 2024 წლის 12 ივლისს ზემო აჭარაში, კერძოდ შუახევში, უმასპინძლა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას ,,საუკეთესო რეგიონული თანამშრომლობა“. 2023 წელს აღნიშნულ კონკურში გამარჯვებულები სწორედ შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტები გახდა, კოლეჯ ,,ბლექსისთან“ წარმატებულად განხორციელებული პროექტის -- ზემო აჭარაში კოლეჯის ე.წ ფილიალების გახსნის მხარდაჭერით.

- 2.1.3. აქტივობა - შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან /კანონიერ წარმომადგენლებთან

2024 წელს საინფორმაციო/ საკონსულტაციო გასვლითი შეხვედრები განხორციელდა 20 -მდე საჯარო სკოლაში, 800 -ზე მეტ სკოლის მოსწავლესთან. კოლეჯში მოწყობილი ტურის ფარგლებში კოლეჯში ვიზიტით იმყოფებოდნენ: 25-მდე სკოლის 500-ზე მეტი სკოლის მოსწავლე. ასევე კოლეჯმა უმასპინძლა ბათუმში მოქმედ 5 -მდე საბავშვო ბაღს, ფონდ ,,იალქნის“ ბენეფიციარებს და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირებს. ღონისძიებები ატარებდა საპროფორიენტაციო ხასიათს.

- გასვლითი შეხვედრები ზემო აჭარის თემებში

კოლეჯ ,,ბლექსის“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციისა და კოლეჯის პროგრამების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით განხორციელდა გასვლითი შეხვედრები, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების შემავალ თემებში. ინფორმაცია მიეწოდა მინიმუმ 500 დაინტერესებულ პირს. განხორციელდა ჯამში სულ მცირე 23 გასვლითი შეხვედრა).

- მცირე ზომის (10-30 წმ) ვიდეო რგოლების მომზადება

მომზადდა და სოციალურ მედიაში განთავსდა 3 მცირე ზომის (10-30 წმ) ვიდეო რგოლი ინტეგრირებული პროგრამის, ინკლუზიური განათლებისა და დუალური განათლების პოპულარიზაციის მიზნებისთვის.

- კომუნიკაცია ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გამოყენებით

კოლეჯ ,,ბლექსის“ წარმომადგენლები, ადმინისტრაციის წევრები, პროფესიული სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები იმყოფებოდნენ 20 სატელევიზიო გადაცემაში. 10 რადიო გადაცემაში. კოლეჯ ,,ბლექსის“ შესახებ, მათ შორის ცენტრალური მედიის დონეზე ,მომზადდა 5 სიუჟეტი. ჯამში შედგა 35 ეთერი. აღსანიშნავია, რომ ერთნაირად დაიფარა კოლეჯის პროგრამების განხორციელების ყველა მისამართი.

➢ საჯარო ღონისძიებების ორგანიზება/ ღონისძიებებში მონაწილეობა

კოლეჯმა 2024 წელს მონაწილეობა საჯარო ღონისძიებებში, სხვადასხვა ფესტივალსა და კონფერენციაში, ჯამში 13 ღონისძიებაში.

➢ აქტივობა - მონაწილეობის მიღება პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსში

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსსა და პარლამენტის ჯილდოზე კოლეჯს წარდგენილი აქვს ორი განაცხადი. საუკეთესო დამსაქმებლის კონკურსში კოლეჯმა წარადგინა პარტნიორი საწარმო საკონდიტრო ,,ალუბალი“. ასევე, პარლამენტის ჯილდოს მიღების მიზნით წარდგენილია განაცხადი ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია კოლეჯის მიერ 2024 წელს განხორციელებული პროექტი. სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს - ქვეპროგრამის „შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით" ფარგლებში კოლეჯმა უზრუნველყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის საზღვრებში 6 (ექვსი) შშმ პირის პროფესიული სწავლება და 4 (ოთხი) შშმ პირისათვის პრაქტიკული უნარების განვითარება,. ფარგლებში პროექტის ფარგლებში ყველა პირმა გაიარა ანაზღაურებადი სტაჟირება.

ინდიკატორი- შესრულდა

დამატებით - პროფესიულ სტუდენტთა წახალისებად და პროფესიული განათლების პოპულარიზაციად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კოლეჯის კულინარიის ხელოვნების და სარესტორნო მომსახურების პროგრამის პროფესიული სტუდენტები (ა(ა)იპ უნარების დაფინანსებით სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ უნგრეთში.

შენიშვნის სახით: ინფორმაციები ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

ამოცანა 2.2 - ექსტრაკურიკულური საქმიანობის გაძლიერება

➢ 2024 წელს კოლეჯმა მხარდაჭერა გაუწია პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივას ჩამოეყალიბებინათ სტუდენტური გაერთიანება. შემუშავდა დებულება. სტუდენტები ახორციელებენ სხვადასხვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებს.

➢ პროფესიულ სტუდენტთათვის სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება მათი კარიერული განვითარების თვალსაზრისით

2024 წელს პროფესიული სტუდენტებისთვის მათი კარიერული განვითარების

თვალსაზრისით განხორციელდა 11 საინფორმაციო ტიპის შეხვედრა.

- პროფესიულ სტუდენტთათვის სხვადასხვა ტიპის არაფორმალური ტიპის შემეცნებითი ღონისძიების ორგანიზება

ჩატარდა 10 საინფორმაციო ტიპის ღონისძიება, მათშორის შშმ პირთა და პროფესიულ დღეებთან დაკავშირებით.

პროფესიათა პოპულარიზაციის მიზნით კოლეჯში ჩატარდა შიდა კონკურსები. კულინარიის ხელოვნების მიმართულებით კონკურსში მონაწილეობა მიიღო ,,კულინარიის ხელოვნების“ სამმა პროფესიულმა სტუდენტმა. გამარჯვებულმა დაჩი შეროზიამ მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კონკურსში, თბილისში. კონკურსში მონაწილეობას 12 პროფესიული სასწავლებელი იღებდა. ასევე, შიდა კონკურსი ჩატარდა აგრო სტიპენდიის გაცემის მიზნით აგრარული მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შორის. გამოვლინდა გამარჯვებული სტუდენტი ქედის მისამართზე, რომელსაც გადაეცა აგრო სტიპენდია.

- პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარება

2024 წლის 25 ივნისს ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 15-მა მომხსენებელმა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომელთაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. პროცესში ჩართული იყვნენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე პროფესიული სტუდენტები, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

- სპორტული შეჯიბრებების ჩატარება

სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების მიზნით, კოლეჯში დაიგეგმა სხვადასხვა ტიპის სპორტული აქტივობები და სამაგიდო თამაშები. საერთო ჯამში ჩატარდა შემდეგი ტიპის სპორტული აქტივობები: მაგიდის ჩოგბურთი, შაში , მკლავჭიდი, ფეხბურთი.

- ახალი მიღების სასწავლო ჯგუფებში არაფორმალური აქტივობა (მინიმუმ 5 საათი) ჯგუფის ფორმირების, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით

კოლეჯში, ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდისა და სტუდენტური სერვისების მხარდამჭერი სპეციალისტის ორგანიზებით საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა სპეციალობის ახალი ჯგუფის სტუდენტებთან.

აქტივობები განხორციელდა არა მხოლოდ იმ ჯგუფებში სადაც, სსსმ პროფესიული სტუდენტები ირიცხებოდნენ, აგრეთვე ყველა ახალმიღებულ ჯგუფში.

შეხვედრის მიზანი იყო:

- სტუდენტების ერთმანეთთან დაახლოება;
- გუნდის შეკვრა;
- კოლეჯში არსებული ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ეფექტური კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უპირატესობების მნიშვნელობის გააზრება

აღნიშნული მიზნის მიღწევა განხორციელდა არაფორმალური განათლების მეთოდების (ექსტრაკურიკულური აქტივობები) გამოყენების საშუალებით.

ჯამში შეხვედრები განხორციელდა კოლეჯის 2024 წლის საშემოდგომო მიღების 12 ჯგუფში:

ინდიკატორი- შესრულდა

შენიშვნის სახით: ინფორმაციები ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

ამოცანა 2.3 - კოლეჯის რებრედინგი

კოლეჯმა 2024 წელს შეიმუშავა კოლეჯის ახალი ლოგო და სლოგანი. დაიხვეწა კოლეჯის ლოგო, გახდა უფრო მინიმალისტური. რაც შეეხება სლოგანს. ამ ეტაპზე შევჯერდით სლოგანზე ,,ბლექსი - გზა ახალი შესაძლებლობებისკენ".

ინდიკატორი- შესრულდა

მიზანი 3. დასაქმების ეფექტიანობის და კურსდამთავრებულთა მიღებული კომპეტენციით დასაქმების მაჩვენებლის ზრდა

ამოცანა 3.1. ალუმნის ფუნქციონირების მხარდაჭერა

- 2023 და 2024 წელს ჩარიცხული სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია კარიერის სამსახურის, კარიერული მხარდაჭერის სერვისების, დასაქმების საიტების და პლატფორმის linkedin - თან დაკავშირებით. linkedin – თან დაკავშირებით შეხვედრებისა და რჩევების მიღების შემდეგ 150 პროფესიულ სტუდენტი დარეგისტრირდა აღნიშნულ პლატფორმაზე.
- კოლეჯი ,,ბლექსი“ პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა და კურსდამთავრებულთა მოტივაციის, აღიარების, წარმატების მიზნით აშუქებს ,,ბლექსელების“ წარმატების ისტორიებს. 2024 წელს ჯამში სოციალურ მედიაში 20 გაშუქდა პროფესიული სტუდენტის/კურსდამთავრებულის ისტორია.

ინდიკატორი- შესრულდა

ამოცანა 3.3. - პარტნიორი დამსაქმებლების ბაზის გაფართოება და დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება

- **მშენებლობის და ტექსტილის პროგრამების ფარგლებში პარტნიორთა რეალის გაფართოება.**

კოლეჯმა 2024 წელს გააფართოვა პარტნიორთა/პოტენციურ პარტნიორთა არეალი მშენებლობისა და ტექსტილის მიმართულებით. კერძოდ, პარტნიორთა არეალი გაიზარდა პროგრამების ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ,,მოდის ტექნოლოგია“ ფარგლებში.

- **დამსაქმებელთა არეალის გაფართოება და კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა ინფორმირება ვაკანსიებთან დაკავშირებით**

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილია ბოლო წლების კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა. 2022 წელს სასწავლებელი დაამთავრა 142 სტუდენტმა, მათგან 6 თვის მონაცემებით დასაქმდა 95 (66.9%) კურსდამთავრებული, ხოლო ერთი წლის მონაცემებით 97 (68.3%) კურსდამთავრებული. 2023 წელს სასწავლებელი დაამთავრა 191 პირმა, მათგან დასაქმდა 119 კურსდამთავრებული (62.3%) 2024 წელს სასწავლებელი დაასრულა 219 პრმა, მათგან უკვე დასაქმებულია 125 კურსდამთავრებული (დასაქმების მონიტორინგი არ რის დასრულებული, არ გასულა 6 თვე ყველა პროგრამაზე).

- **უცხო ენების ცოდნის დონის გაძლიერება**

კოლეჯი განაგრძობს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას ინგლისური ენის სწავლების კუთხით. აჭარის განათლების ფონდთან თანამშრომლობის ფარგლებში სწავლებაში ჩაერთო 40 - მდე პროფესიული სტუდენტი, მათ შორის, ტურიზმის მიმართულების დუალური პროგრამების სტუდენტები. კოლეჯმა ყველა პროფესიულ სტუდენტს საჩუქრად გადასცა ინგლისური ენის სახელმძღვანელო.

ინდიკატორი- შესრულდა

3.2 ამოცანა - დასაქმების ხელშეწყობა არაფორმალური განათლების აღიარების გზით

შრომის ბაზარზე დასაქმების ეფექტიანობის ხელშემწყობია არაფორმალური განათლების აღიარება, რომელსაც კოლეჯი უკვე 3 წელია ახორციელებს, აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს დაფინანსებით.

2024 წელს კოლეჯსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა 20 წარმოება:

- ელექტროობა - 10 წარმოება
- კულინარიის ხელოვნება - 6 წარმოება
- სასტუმრო მომსახურება - 1 წარმოება
- საავტომობილო გზების მშენებლობა - 1 წარმოება
- მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები - 1 წარმოება
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები- 1 წარმოება

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ყველაზე მეტი ოდენობის პროგრამების ფარგლებში იყო მომართვიანობა და ყველაზე მეტი ოდენობით წარმოება დასრულდა კვალიფიკაციის მინიჭებით. კერძოდ, სასტუმრო მომსახურების (მაძიებელი - ე. გ.), კულინარიის ხელოვნებისა (მაძიებელი - სასტუმრო ჰილტონ ბათუმის შეფ. მზარეული ხ. ა.) და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამების (მაძიებელი - სასტუმრო ლე მერიდიან ბათუმის შრომის უსაფრთხოების მენეჯერი გ. გ.) ფარგლებში წარმოებები დასრულდა კვალიფიკაციის მინიჭებით.

17 წარმოების ფარგლებში მაძიებლებს უღიარდათ სწავლის შედეგები 81 მოდულის ფარგლებში.

არაფორმალური განათლების აღიარების კომისიების შემადგენლობაში ჩართული იყვნენ სსიპ კოლეჯ ბლექსის, სსიპ კოლეჯ ახალი ტალღის, სსიპ კოლეჯის კონსტრუქტ2 პროფესიული განათლების მასწავლებლები და წარმომადგენლები პარტნიორი ორგანიზაციებიდან.

აღსანიშნავია დამსაქმებელთა აქტიურობა. კომპანიამ ,,ენერგო პრო ჯორჯია" 10 თანამშრომელი ჩართო არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში. გარდა ამისა მიმდინარე წელს იაქტიურეს ტურიზმისა და სამშენებლო სექტორის კომპანიებმა და თანამშრომლებს მიაწოდეს ინფორმაცია არსებული შესაძლებლობის თაობაზე. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო დამსაქმებლებთან კომუნიკაციამ და ინფორმირებამ. შედეგიც კარგი მივიღეთ.

მიზანი 4. - ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სასწავლო გარემოში (მატერიალური რესურსების განვითარება)

ამოცანა 4.1 ამოცანა - პროგრამების დამატების მიზნით პროგრამების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა

კოლეჯმა 2025 წლისთვის გადადო დაგეგმილი პროგრამების დამატება, ვინაიდან 2025 წელს დაგეგმილია ავტორიზაცია და არის შესაძლებლობა განხორციელდეს ახალ ფართში გადასვლაც. სამინისტროსთან შეთანხმებით შესყიდვებს განახორციელებს ESIDA.

ინდიკატორი - არ შესრულდა.

მიზანი 5. ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამების განმახორციელებელი პირებით (ადამიანური კაპიტალის განვითარება)

ამოცანა 5.1. მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვა

- დაწესებულებამ მიმდინარე წელს დაიმატა ახალი მასწავლებლები. თუმცა ცალკეული მიმართულებით გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში (მაგ. იატაკისა და ფილის სამუშაოები) კადრი ვერ იქნა შერჩეული.

ინდიკატორი - ნაწილობრივ შესრულდა

ამოცანა 5.2. პერსონალის განვითარება საჭიროებათა შესაბამისად

- განხორციელდა დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე. ძირითადი საჭიროებები 2023 წლის მასწავლებლებთან ჩატარებული კვლევისას გამოვლინდა გარემოს დაცვის და მშენებლობის მიმართულებით, ორივე მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები. ტრენინგები ასევე ჩატარდა სხვადასხვა მიმართულებით. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია HRმენეჯერის ანგარიშში.
- 2024 წელს აჭარის ა/რ განათლების კულტურისა სპორტის სამინისტროს დაფინანსებით კოლეჯის 4 მასწავლებელი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმყოფებოდა საზღვარგარეთ. მათ შორის, შუახევის მისამართის 2 მასწავლებელი- ხორვატიაში და IT მიმართულების 2 მასწავლებელი (ბათუმისა და ქედის) - ესტონეთში.
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით, უნგრეთში, გერმანიასა და თურქეთში იმყოფებოდა კოლეჯის 4 მასწავლებელი.
- 2023 წლის საქართველოს WorldSkills Georgia"-ს გამარჯვებული გახდა კონდიტერიის პროგრამის პროფესიული სტუდენტი თამთა დევაძე. 2024 წელს უკვე კურსდამთავრებულმა საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს WorldSkills - ში და კოლეჯმა კონკურსზე დასწრების მიზნით წარგზავნა კონდიტერიის პროგრამის ხელმძღვანელი.

- კოლეჯის დირექტორის მოადგილის ორგანიზებით, კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით;
- 2023 წლის კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული საჭიროების შესაბამისად, კვალიფიკაცია აიმაღლა ადმინისტრაციული პერსონალის 9 პირმა, პრიორიტეტების გათვალისწინებით. ყველა საჭიროება ვერ დაკმაყოფილდა და გათვალისწინებული იქნება 2025 წელს.
- კოლეჯის დირექტორის მოადგილემ და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტმა ჩაატარეს ტრენინგების ციკლი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.
- ჩატარდა დუალური პროგრამების ინსტრუქტორთა და პროგრამის ხელმძღვანელთა კომუნიკაციის მხარდამჭერი შეხვედრა.
- უნარების სააგენტოს მხარდაჭერით შერჩეულია SES ექსპერტი კონდიტერიისთვის (მოთხოვნა გაკეთებული იყო 2024 წელზე), რომელიც 2025 წლის მარტში ჩამოვა კოლეჯში.

ინდიკატორი- ნაწილობრივ შესრულდა

საერთაშორისო კონფერენცია - პროფესიული განათლების მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივა, პროფესიული განათლების მასწავლებელი სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში

2024 წლის 30 სექტემბერსა და პირველ ოქტომბერს კოლეჯების: ბლექსი და ახალი კოლეჯი ახალი ტალღას ორგანიზებით, აჭრის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია - პროფესიული განათლების მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივა, პროფესიული განათლების მასწავლებელი სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში.

კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს აკადემიურ დისკუსიას პროფესიული განათლების ინსტრუმენტების, სტრატეგიების, რესურსების, ინოვაციური მიდგომებისა და ტენდენციების შესახებ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე; შექმნას თანამშრომლობითი გარემო, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეეძლებათ საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება და ერთმანეთისგან სწავლა და გააფართოოს კერძო სექტორთან კონსტრუქციული დიალოგის წარმართვის გზები.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა კოლეჯების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, ადმინისტრაციის წევრებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა, უცხოელ ექსპერტებმა, პარტნიორი კოლეჯების წარმომადგენლებმა გერმანიიდან და ესტონეთიდან, სამთავრობო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლებმა.

კერძოდ: კონფერენციაში მომხსენებლების სტატუსით მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:

სახელმწიფო სტრუქტურები:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო

კერძო სექტორი:

- კომპანია ,,Marriott“
- სასტუმრო ,,ჰილტონ ბათუმი“
- სს ჰიპერმარკეტი ,,გუდვილი“

პარტნიორი კოლეჯები (უცხოეთი):

- გერმანია, რავენსბურგის ინდუსტრიული კოლეჯი,
- ესტონეთი; ქ. ვალგას პროფესიული სასწავლო ცენტრი

მოწვეული სახელმწიფო კოლეჯები: (საქართველო):

- სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“
- სსიპ კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
- სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი“
- სსიპ კოლეჯი ,,მოდუსი“,
- სსიპ კოლეჯი ,,იკაროსი“
- სსიპ კოლეჯი ,,აისი“

კონფერენციაში მომხსენებლის სახით მონაწილეობა მიიღო გერმანია, მაინცის იოჰანეს გუტენბერგის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის პედაგოგიკა, საპატიო პროფესორმა მარკუს ბონერმა (დისტანციური ჩართვა).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოლეჯების მოწვევას საერთაშორისო კონფერენციაში ჩართულობასთან დაკავშირებით გამოეხმაურა კოლეჯები და ჯამში კონფერენციაში მომხსენებლისა თუ დამსწრის სტატუსით მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი 14 კოლეჯი. 2024 წლის 30 სექტემბერს კონფერენციას დაესწრო 70 პირი.

კონფერენციას ჰქონდა დადებითი გამოხმაურება და დაიგეგმება მისი ჩატარება 2025 წელსაც.

მიზანი 6. კოლეჯის მართვის სისტემა არის მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის საგანი, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს

6.1. ამოცანა - კოლეჯის მართვის პროცესების განვითარება

დაწესებულებამ 2024 წელს განაახლა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა მექანიზმი:-კოლეჯის მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და შინაგანაწესი; თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტის ჩარჩო და შესაბამისად, სამუშო აღწერილობები. მომზადდა სასწავლო პროცესის განახლებული რეგულაციის პროექტი, განახლდა კოლეჯის ნომენკლატურა და შეთანხმდა აჭარის ა/რსაარქივო სამმართველოსთან.

ინდიკატორი- შესრულდა

ამოცანა 6..2. კოლეჯის ორგანიზაციული კულტურის განვითარება

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის ამოქმედების შემუშავდა ახალი რეგულაცია;
- გათვალისწინებული იყო თანამშრომელთა შეფასების 360 გრადუსიანი სისტემის შემუშავება, თუმცა ვინაიდან სამინისტრო გეგმავს HR თანამშრომელთა მხარდაჭერას, ამ მიმართულებით რესურსის ხარჯვა არამიზნობრივად იქნა მიჩნეული.
- მასწავლებლებთან შრომითი ურთიერთობების გამჭვირვალობის მიზნით, შემუშავდა შრომითი ხელშეკრულების ახალი ფორმა და განახლდა ხელშეკრულებები.
- დამტკიცდა საზოგადოებასთან კომუნიკაციის ახალი წესი.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სოციალურ ქსელში მათი საქმიანობის გაშუქება. გაშუქებულია 14 ისტორია, რომელიც ძირითადად მასწავლებელთა სამსახურეობრივ აქტივობას ეხება, წარმოდგენილ მასალებში ნაკლებად წარმოდგენილია მასწავლებელთა ბიოგრაფიული ნაწილი და სამომავლოდ ამ მიმართულებითაც გაკეთდება აქცენტები.

ინდიკატორი - ნაწილობრივ შესრულდა

ამოცანა 6.3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება

- გადაიხედა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დაინერგა ვერიფიკაციის პროცესში გარე ვერიფიკატორების მოწვევის მექანიზმის შემუშავება (მათ შორის, დაინერგა ფინანსური მექანიზმი.
- ჩატარდა ვერიფიკაცია ავტორიზაციის პირველ, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით.

2024 წელს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ბევრი აქტივობა განხორციელდა, რის თაობაზეც დეტალური ინფორმაცია ასახულია ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ანგარიშში.

ინდიკატორი- შესრულდა